უახლესი ისტორიის რეალური სურათი ფონდ – „დია საზოგადოება საქართველოს“ ქალთა პროგრამის მიერ წარმოდგენილ ნაშრომში, რომელიც საქართველოს 52 ქალი – წარმომადგენლის ცხოვრებისეულ ისტორიას მოიცავს.

325. კეცხოველი ი. ქალი საქართველოს ისტორიულ-კულტურულ და თანამედროვე სოციალურ პროცესებში // საისტორიო შტუდები. - 2004. - ტ. 5. - გვ. 188-207. რეზ. ინგლ. ენაზე.

ქალის როლი და ადგილი საქართველოს ისტორიასა და თანამედროვეობაში.

326. შარვაშიძე ნ. ქალთა საზოგადოებრივ-პოლიტიკური განათლება საქართველოში თანამედროვე ეტაპზე და პედაგოგის როლი ამ მოძრაობაში // თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტი: პრომეთე. - 2002. - №11-12. - გვ. 123-127. რეზ. რუს. და ინგლ. ენებზე.

ქალთა საზოგადოებრივი ორგანიზაციები და მათ მიერ ორგანიზებული ღონისძიებები.

327. ხაზარაძე ნ. მართლმადიდებლური სამყარო და ქართველი ქალი / ნ. ხაზარაძე, ნ. მინდაძე // ქართული წყაროთმცოდნება. - 2004. - ტ. 10. - გვ. 113-139. რეზ. ინგლ. ენაზე.

ქართველი ქალების როლი ქრისტიანული სარწმუნოებისა და საქართველოს სამოციქულო ეკლესიის სამსახურის საქმეში, მათი სამკურნალო და სამედიცინო-აღმზრდელობითი მოღვაწეობა.

328. Чхартишвили М. Женщины на перекрестке идеологических эпох : (История обращения Грузии в христианство в свете гендерной проблематики) // გესეთი. - 2002. - № 5. - с. 15-24. რეზ. ქართ. და ინგლ. ენებზე.

Исследование ставит целью, на основе изучения памятника древнегрузинской литературы “Жития св. Нино”, составить представление о грузинском обществе IV века и проанализировать формы социальной активности женщин в этом обществе.

### **გარემოს დაცვა. ეკოლოგია**

329. კაშია ვ. ჩერნობილის ავარიის შედეგად აფხაზეთის ოკრო-ტორიის რადიოაქტიური გაჭუჭყიანების შესახებ // მეცნიერება და ტექნოლოგიები. - 2003. - №1-3. - გვ. 15-21. რეზ. ინგლ. და რუს. ენებზე.

რეგიონში ნიადაგის, წყლისა და მცენარეთა გაჭუჭყიანების დონე 1986-1991 წლებში.

330. ტაბატაძე თ. საქართველოს მთიანი რეგიონების ეკოლოგიური პრობლემები // თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტი: პრომეთე. - 2002. - №11-12. - გვ. 154-158. რეზ. რუს. და ინგლ. ენებზე.

ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება და გარემოს დაცვა.

331. ვეიქრიშვილი მ. ტრასეგას პროექტი და ზოგიერთი ეკოლოგიური პრობლემა საქართველოში // სოციალური ეკონომიკა. - 2002. - №5. - გვ. 101-106.

TACIS-TRACECA-ს ექსპერტთა ჯგუფის მიერ დამუშავებული ეკოლოგიური უსაფრთხოების დაცვის პროექტი.

**მათემატიკა.**  
**საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი**

332. აკაკი გახოკიძე = Akaki Gakhokidse / 6. ნებიერიძე, 6. ბოლქვაძე, ლ. ბოჭორიძე და სხვ.. - ობ., 2004. - 145 გვ.  
ქიმიკოსის ცხოვრება და მოღვაწეობა.

333. ბითაძე ლ. ხევსურების ანთროპოლოგიური დახასიათება // მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის. - 2004. - გ. 26. - გვ. 38-42.  
ხევსურთა ფიზიკური განვითარების თავისებურებები.

334. გაგნიძე მ. გუჯარეთ-საჩქოის ოქროსულფიდური მაღნიანი ველის გეოლოგიური მოდელი // მეცნიერება და ტექნოლოგიები. - 2003. - №7-9. - გვ. 92-95. რეზ. ინგლ. და რუს. ენებზე.

ბორჯომისა და წალკის რაიონებში, ორიალეთის ქედის სამხრეთი კალთის მაღალმთიანი ზონის ფარგლებში მდებარე ოქროს ქვიშრობის მკვებავი ძირითადი მაღნიანი ზონების აღწერა.

335. ზუბიტაშვილი თ. ნისლიანი ამინდის კლასიფიკაციის საკითხებისათვის // მეცნიერება და ტექნოლოგიები. - 2003. - №4-6. - გვ. 115-117. რეზ. ინგლ. და რუს. ენებზე.

ნისლის გაგრცელების ალბათობის მახასიათებლების მიხედვით შედგენილი ნისლიანი ამინდის კლასიფიკაციის სქემა.

336. ზუბიტაშვილი თ. ნისლიან დღეთა რაოდენობის ემპირიული განაწილების გამოკვლევა აღმოსავლეთ საქართველოში // მეცნიერება და ტექნოლოგიები. - 2003. - №1-3. - გვ. 136-139. რეზ. ინგლ. და რუს. ენებზე.

337. თუმანიშვილი გ. მაიკოპის სერიის ურანშემცველი ორგანო-გენული ფოსფორიტები / გ. თუმანიშვილი, დ. ნაცვალაძე // მეცნიერება და ტექნოლოგიები. - 2003. - №7-9. - გვ. 99-104. რეზ. ინგლ. და რუს. ენებზე.

საქართველოს ტერიტორიაზე სინგენეტურ-დანალექი ურან-დაგროვების დონეების შესწავლა, რომელთა შორის ყურადღებას იმსახურებს მაიკოპის სერიის წარმონაქმნები „თევზის ურანშემცველი შრეების“ სახით.

338. იოსებიძე ჯ. თბილისის შემოგარენის გეოეკოლოგია და მისი გაჯანსაღების მიზნით შემოთავაზებული ზოგიერთი მოსახრება // მეცნიერება და ტექნოლოგიები. - 2003. - №7-9. - გვ. 112-113. რეზ. ინგლ. და რუს. ენებზე.

სტატიაში დასაბუთებულია შენობათა დატბორვის გამომწვევი მიზეზები და რეკომენდებულია უბნების, სამურნეო ობიექტებისა და საცხოვრებელი კორპუსების დატბორილი სარდაფების ამოსაშრობად მიმართული დონისძიებები.

339. კაგასიის რეგიონის თანამდროვე გეოდინამიკური პროცესების შესწავლისათვის / ჯ. მესხია, მ. მელიქიშვილი, ც. დონაძე, თ. ნანობაშვილი, მ. ლევავა // მეცნიერება და ტექნოლოგიები. - 2003. - №1-3. - გვ. 121-129. რეზ. ინგლ. და რუს. ენებზე.

საქართველოს რელიეფი მორფოსტრუქტურული თვალსაზრისით; შავი ზღვის რეგიონისა და ცენტრალური კავკასიონის კარტოგრაფიულ-გეოდინამიკური მოდელი, რომელთა შესწავლა უზრუნველყოფს ეკოლოგიურ პროგნოზირებასა და კატასტროფების თავიდან აცილებას.

340. კუბეცია მ. რაციონალური ბუნებათსარგებლობის საკითხისათვის: (იმერეთის მაგალითზე) // მეცნიერება და ტექნოლოგიები. - 2003. - №10-12. - გვ. 57-60. რეზ. ინგლ. და რუს. ენებზე.

ნაშრომს საფუძვლად უდევს იმერეთის რეგიონის ლანდშაფტურ-ეკოლოგიური ანალიზი, რომელზეც დაყრდნობით მოცემულია ზოგადი ბუნებათსარგებლობის მეთოდოლოგიის კონცეპტუალური მოდელი.

341. კუხალევიშვილი ლ. კინტრიშის ნაკრძალის კაუვანა წელმცენარეთა შესწავლისათვის // მეცნიერება და ტექნოლოგიები. - 2003. - №7-9. - გვ. 139-142. რეზ. ინგლ. და რუს. ენებზე.

342. კუხალევიშვილი ლ. კინტრიშის ნაკრძალის კაუვანა წელმცენარეთა შესწავლისათვის: (ოჯახი Naviculaceae) // მეცნიერება და ტექნოლოგიები. - 2003. - №10-12. - გვ. 152-156. რეზ. ინგლ. და რუს. ენებზე.

343. კუხალევიშვილი ლ. კინტრიშის ნაკრძალის მწვანე წელმცენარეთა შესახებ // მეცნიერება და ტექნოლოგიები. - 2003. - №4-6. - გვ. 152-155. რეზ. ინგლ. და რუს. ენებზე..

344. კუსალეიშვილი ლ. მასალები კინტრიშის ნაკრძალის ლურჯმწვანე წყალმცენარეთა შესახებ // მეცნიერება და ტექნოლოგიები. - 2003. - №1-3. - გვ. 151-153. რეზ. ინგლ. და რუს. ენებზე. კინტრიშის ნაკრძალის ალგოფლორა.

345. მეგრელიძე ლ. აღმოსავლეთ საქართველოში დრუბლიანობის მახასიათებლებსა და ატმოსფერული ნალექების რაოდენობას შორის კორელაციური კავშირების საკითხისათვის // მეცნიერება და ტექნოლოგიები. - 2003. - №1-3. - გვ. 130-135. რეზ. ინგლ. და რუს. ენებზე.

346. შზარელუა ლ. კოლხეთის სამეურნეო-რეკრეაციული პოტენციალის შეფასება // მეცნიერება და ტექნოლოგიები. - 2003. - №10-12. - გვ. 61-62. რეზ. ინგლ. და რუს. ენებზე.

ავტორი ლანდშაფტური სინთეზის მეთოდის გამოყენებით გამოყოფს კოლხეთის ვაკე-დაბლობის ტერიტორიაზე სამეურნეო-რეკრეაციული გამოყენების სხვადასხვა პოტენციალის (10-ბალიანი სისტემით) მქონე მიკროლანდშაფტებს.

347. მირცხულავა ც. რისკის მართვა არაგვის ხეობაში მდგრადი განვითარების შესანარჩუნებლად / ც. მირცხულავა, ვ. ბალამწარიშვილი // მეცნიერება და ტექნოლოგიები. - 2003. - №7-9. - გვ. 105-111. რეზ. ინგლ. და რუს. ენებზე.

მეცნიერულად დასაბუთებული სტრატეგიის შემუშავების აუცილებლობა არაგვის წყალშემკრები აუზის დაბალანსებული განვითარებისათვის.

348. მიქაძე ი. კოლხეთის დაბლობის ცენტრალური ნაწილის მეოთხეული ნალექების წნევიანი წყლების გრუნტის წყლებში გადაღინების რაოდენობრივი შეფასება რეჟიმზელი დაკვირვებების მიხედვით // მეცნიერება და ტექნოლოგიები. - 2003. - №7-9. - გვ. 96-98. რეზ. ინგლ. და რუს. ენებზე.

349. მიქაძე ი. კოლხეთის დაბლობის ცენტრალური ნაწილის მეოთხეული ნალექების წნევიანი წყლების გრუნტის წყლებში გადაღინების რაოდენობრივი შეფასება წყალგამტარობის რუკის მიხედვით // მეცნიერება და ტექნოლოგიები. - 2003. - №10-12. - გვ. 77-79. რეზ. ინგლ. და რუს. ენებზე.

350. პაპუნიძე ვ. ბათუმის ბოტანიკური ბაღის როდი ბუნებათმცოდნეობისა და სოფლის მეურნეობის განვითარებაში // კვალი. - 2003. - №4-5. - გვ. 17-20.

351. სტურუა თ. საქართველოს სარწყავი სისტემების რეაბილიტაციის მათემატიკური მოდელი // მეცნიერება და ტექნოლოგიები. - 2003. - №10-12. - გვ. 32-35. რეზ. ინგლ. და რუს. ენებზე.

352. ტატიშვილი ჯ. ალაზნის არტეზიული აუზის მიწისქვეშა წყლების ხელოვნურად შეგსყიდვის პილროგოლოგიური დასაბუთება // მეცნიერება და ტექნოლოგიები. - 2003. - №10-12. - გვ. 72-76. რეზ. ინგლ. და რუს. ენებზე.

353. ფალაგანდიშვილი შ. აჭარის ნიადაგური რესურსების გეოგრაფიული გავრცელება // კვალი. - 2002. - №1-2. - გვ. 35-36. რეზ. რუს. და ინგლ. ენებზე.

აჭარის რელიეფური თავისებურებანი, ჰავა, ბიოეკოლოგიური პირობები, ტყეები, განსხვავებული ნიადაგები ზღვისპირა დაბლობებში, ალპურ და სუბალპურ ზონებში.

354. ქარქაშაძე ნ. ორგანული კატალიზი და ქართველი მეცნიერები / ნ. ქარქაშაძე, გ. არეშიძე, ა. დოლიძე // მეცნიერება და ტექნოლოგიები. - 2003. - №7-9. - გვ. 79-82. რეზ. ინგლ. და რუს. ენებზე.

სტატია გვაცნობს ქმიტლებს, რომელთაც დიდი წვლილი შეიტანეს საქართველოს მინერალური ნედლეულის (ნავთობი, თიხები და ბუნებრივი ცეოლითები) კვლევის საქმეში: ქრ. არეშიძე, გ. ჩივაძე, ნ. ბექაური, ე. ბენაშვილი, ა. დოლიძე და სხვ.

355. შეგველიძე ა. საინჟინრო გეოდეზიის სკოლის შემქმნელი: (ედჯინება პროფესორ ნიკოლოზ თევზაბის დაბადების 95 წლისთავს) // მეცნიერება და ტექნოლოგიები. - 2003. - №10-12. - გვ. 54-56. რეზ. ინგლ. და რუს. ენებზე.

356. შენგელია რ. გამყინვარებისა და მყინვარული ჩამონადენის პროგნოზი კლიმატის გლობალური დათბობის ფონზე: (საქართველოს მდინარეთა აუზების მაგალითზე) / რ. შენგელია, მ. ჩიჯავაძე // მეცნიერება და ტექნოლოგიები. - 2003. - №4-6. - გვ. 111-114. რეზ. ინგლ. და რუს. ენებზე.

357. ცანავა ლ. დგარცოფულ წყალსადინარებში წყალმოვარდნების პიდროლოგიური შესწავლა და მათი პროგნოზირება // მეცნიერება და ტექნოლოგიები. - 2003. - №10-12. - გვ. 80-84. რეზ. ინგლ. და რუს. ენებზე.

სტატია ეძღვნება მთის მდინარეთა ჩამონადენის მოკლევადიანი პროგნოზის საკითხს, რომლის მეშვეობითაც წინასწარ განისაზღვრება მოსალოდნელი კატასტროფული წყალმოვარდნები და ლვარცოფული ნაკადები.

358. ჯაფოშვილი ო. კობრისნაირთა ოჯახის (Cyprinidae: Barbinae) ზოგიერთი წარმომადგენლის (მურწა, მტკვრის წვერა, ჭანარი) ეპოლოგიურ-ბიოლოგიურ თავისებურებათა შესახებ / ო. ჯაფოშვილი, ბ. ჯაფოშვილი, ლ. გოლეთიანი // თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტი: პრომეთე. - 2002. - №11-12. - გვ. 143-148. რეზ. რუს. და ინგლ. ენებზე.

### ტექნიკური ლიტერატურა

359. ანანიაშვილი ი. საქართველოს რეინიგზის საექსპლუატაციო დანახარჯებისა და თვითდირებულების ანალიზი / ი. ანანიაშვილი, ბ. ხადური // საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე: ეკონომიკის სერია. - 2005. - ტ. 13. - №3-4. - გვ. 80-98. რეზ. ინგლ. და რუს. ენებზე.

2002-2004 წლების რეინიგზის სატვირთო და სამგზავრო გადაზიდვების მონაცემების ანალიზი.

360. ბერიძე რ. საქართველოს სამოქალაქო ავიაციის განვითარების პერსპექტივები // სოციალური ეკონომიკა. - 2002. - №2. - გვ. 138-145. რეზ. რუს. ენაზე.

საერთაშორისო ავიაგადაზიდვების ბაზარზე საქართველოს ავიაკომპანიების კონკურენტუნარიანობის შენარჩუნებისა და გაზრდის საკითხი.

361. ბუბუტეიშვილი ლ. საქართველოში საქალაქო საავტობუსო გადაზიდვების ტექნოლოგიური პროცესის სრულყოფა / ლ. ბუბუტეიშვილი, გ. თედორაძე // მეცნიერება და ტექნოლოგიები. - 2003. - №4-6. - გვ. 46-49. რეზ. ინგლ. და რუს. ენებზე.

362. მარგველაშვილი ო. იოგელ ჯებაშვილი – 80 // მეცნიერება და ტექნოლოგიები. - 2003. - №4-6. - გვ. 156-157. რეზ. ინგლ. და რუს. ენებზე.

ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორის – ი. ჯებაშვილის გახსენება. ბიოგრაფიული ცნობები, პედაგოგიური და სამეცნიერო მოღვაწეობა.

363. მოისწრაფიშვილი მ. საქართველოში ვიწროლიანდაგიანი რეინიგზის ქსელის განვითარება და ნორმატიულ-ტექნიკური ბაზის შექმნის საკითხები // მეცნიერება და ტექნოლოგიები. - 2003. - №4-6. - გვ. 54-56. რეზ. ინგლ. და რუს. ენებზე.

364. უზუნაძე რ. ნაოსნობა ბათუმის ოლქში: (სამხედრო-პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ასპექტები). - ბათუმი, 2001. – 381 გვ.

რეც.: დაუშვილი ალ. საყურადღებო მონოგრაფია ნაოსნობის შესახებ // ლიტერატურული აჭარა. - 2002. - №7. - გვ. 114-117.

365. ქაშაკაშვილი მ. ზესტაფონი-ყარსის ახალი ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობა და საქართველოსათვის ბაზისური ელექტროენერგიის მოპოვება // მეცნიერება და ტექნოლოგიები. - 2003. - №10-12. - გვ. 90-92. რეზ. ინგლ. და რუს. ენებზე.

366. ჩაგელიშვილი ლ. ინოვაციური პოლიტიკა საქართველოს კავშირგაბმულობაში // სოციალური ეკონომიკა. - 2002. - №4. - გვ. 82-90. რეზ. რუს. ენაზე.

367. ჩაგელიშვილი ლ. მსოფლიო საკომუნიკაციო ქსელი და საქართველო // სოციალური ეკონომიკა. - 2002. - №2. - გვ. 63-68. რეზ. რუს. ენაზე.

საქართველოს ტელეკომის ფუნქციონირება და მომავალი პერსპექტივები.

368. ცაგარეიშვილი პ. ტრასექას დერეფნის საქართველოს სარკინიგზო მონაკვეთზე ინფრასტრუქტურის ეფექტიანობის გაზრდის დონისძიებათა კლასიფიცირებისა და ოპტიმიზირების შესახებ // მეცნიერება და ტექნოლოგიები. - 2003. - №4-6. - გვ. 50-53. რეზ. ინგლ. და რუს. ენებზე.

369. Берулава Г. К вопросу о приватизации объектов электроэнергетики в Грузии // საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე: გორნომიკის სერია. - 2005. - გ. 13. - №1-2. - გგ. 79-85. რეზ. ქართ. და ინგლ. ენებზე.

## სამედიცინო ლიტერატურა

370. ლომიძე ნ. თენგიზ ახმეტელი / ნ. ლომიძე, ლ. მნელაძე. - თბ., 2004. - 51 გგ.

დასტაქარ თ. ახმეტელის ცხოვრება და საქმიანობა. ნაშრომი ეძღვნება მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის 80 წლისთავს.

371. მინდაძე ნ. ქართული ხალხური სამედიცინო ტრადიციები: კახეთი / ნ. მინდაძე, ნ. ჩირგაძე. - თბ., 2005. - 72 გვ. ტექსტი ქართ. და ინგლ. ენებზე.

კახეთის სამკურნალო ტრადიციების ძეგლი და ახალი ფორმები, დღევანდელი რეალობა და თავისებურებები. ნაშრომს დართული აქვს სამკურნალო მცენარეების ფოტოები.

372. სალუქვაძე ს. თბილისის №1 აფთიაქ-მუხუშევის ისტორია. - თბ., 2004. - 287 გვ.

საქართველოში და თბილისში არსებული უძველესი აფთიაქების მოკლე ისტორია. თბილისის №1 აფთიაქთან დაკავშირებული მოვლენები 1879 წლიდან დღემდე.

373. ახალიაძ გ. საქართველოში სამკურნალო დაწესებულებათა აღმოცენება და განვითარება XIX საუკუნეში // სოციალური ექიმობია. - 2002. - №5. - გვ. 142-147. რეზ. რუს. ენაზე.

374. ბახუტაშვილი ო. თურქულთან ბრძოლის გაუმჯობესებული ღონისძიებები // მეცნიერება და ტექნოლოგიები. - 2003. - №1-3. - გვ. 140-142. რეზ. ინგლ. და რუს. ენებზე.

თურქულის დაავადებისაგან დაცვის მზნით განსახორციელებელი ვეტერინარულ-სანიტარული მოთხოვნები.

375. ვაჟა იაკობაძე – შრომით განვლილი გზა // ქვალი. - 2003. - №4-5. - გვ. 45-46.

ვეტერინარულ მეცნიერებათა კანდიდატ ვ. იაკობაძის ბიოგრაფია, სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობა.

376. კანანაძე დ. ფრინველის ყვავილის პროფილაქტიკისა და ლიკვიდაციისათვის საქართველოში // მეცნიერება და ტექნოლოგიები. - 2003. - №4-6. - გვ. 129-133. რეზ. ინგლ. და რუს. ენებზე.

ფრინველის ვირუსულ დაავადებებთან ბრძოლის სრულყოფის მიზნით ჩასატარებელი კომპლექსური ღონისძიებები.

377. ლოლაშვილი შ. ბატქნის ფიზიოლოგიური მდგომარეობის ზოგიერთი მაჩვენებელი პარსვამდე და პარსვის შემდეგ // მეცნიერება და ტექნოლოგიები. - 2003. - №1-3. - გვ. 143-145. რეზ. ინგლ. და რუს. ენებზე.

ექსპერიმენტული სამუშაოები „უდაბნოს“ მეცხვარეობის მეურნეობაში (საგარეჯოს რ-ნი).

378. ხაზარაძე ნ. გელასი კესარიელის ერთი ცნობის ინტერპრეტაციისათვის // ნ. ხაზარაძე, ნ. მინდაძე // მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის. - 2004. - გ. 26. - გვ. 138-142.

IVს.-ზი მოღვაწე ბერძენი ავტორის გელასი კესარიელის „საეკლესიო ისტორიაში“ შემონახული ერთი ცნობის შესახებ, რომელიც საქართველოში სამედიცინო საქმის მდგომარეობაზე გვაწვდის ინფორმაციას. ნაშრომი წარმოადგენს ქართლის მოქავის ისტორიის უძველეს წყაროს.

## სოფლის მეურნეობა

379. ოურმანიძე ო. სოფლის მეურნეობა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში: (1878-1920 წწ.). - ბათუმი, 2004. - 104 გვ.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ნიადაგურ-კლიმატური პირობები, სასოფლო-სამუშაოები ზონები და სოფლის მეურნეობის ძირითადი დარგები: მარცვლეული კულტურები, მეთამბაქოეობა, მეჩაიობა, მეხილეობა, მეკვნახეობა, მეცხოველეობა.

380. აგლაძე გ. მეცხოველეობასა და საკვებწარმოებაში არსებული მდგომარეობა და განვითარების პერსპექტივები // კვალი. - 2002. - №4-5. - გვ. 32-34. რეზ. რუს. და ინგლ. ენებზე.

381. ბუაჩიძე კ. ქვემო ქართლის ვაკეზე გავრცელებული პამიდორის დაავადებები / კ. ბუაჩიძე, ნ. ალ-საიედ // კვალი. - 2002. - №3. - გვ. 33.

382. ბუნაშვილი გ. კახეთის რეგიონში მიწების პრივატიზაციისა და მეცხოველეობის განვითარების ზოგიერთი საკითხი // სოციალური ეკონომიკა. - 2002. - №5. - გვ. 124-130. რეზ. რუს. ენაზე.

მეცხოველეობის პროდუქტებით მოსახლეობის უზრუნველყოფის ზრდის პერსპექტივა სამეცნიერო კვლევის საფუძველზე.

383. ბუნაშვილი გ. კახეთის რეგიონში მსხვილფეხა რქოსანი მეცხოველეობის განვითარების პერსპექტივებისათვის // სოციალური ეკონომიკა. - 2002. - №1. - გვ. 122-124. რეზ. რუს. ენაზე.

384. გიგინეიშვილი ლ. საქართველოს ფერმერული მეურნეობების რეგისტრისა და მომსახურების სისტემის შექმნა // კვალი. - 2002. - №3. - გვ. 12-13. რეზ. რუს. და ინგლ. ენებზე.

ფერმერული მეურნეობების განვითარებასთან დაკავშირებული საკითხები.

385. დევაძე ა. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის აგროსამრეწველო კომპლექსის განვითარების ტენდენციები // კვალი. - 2003. - №4-5. - გვ. 4-7.

386. ვერულიძე გ. მეკარტოფილეობის პრობლემები აჭარაში // კვალი. - 2003. - №4-5. - გვ. 24-25.

არსებული მდგომარეობა და მოსავლიანობის ზრდის აუცილებლობა.

387. IFAD-ის სტრატეგია საქართველოში // კვალი. - 2003. - №1. - გვ. 5-10.

გაეროს სპეციალიზებული ფონდის – IFAD-ის ხელშეწყობით მიმღინარე მთიანი და მაღალმთიანი რეგიონების სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამა.

388. კაპანაძე დ. მსოფლიო ბანკი აგრარული სექტორის განვითარებისთვის საქართველოში // კვალი. - 2002. - №1-2. - გვ. 30-31. რეზ. რუს. და ინგლ. ენებზე.

სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტები.

389. კოდუაშვილი პ. მეურნეობრიობის ფორმების რესტრუქტურიზაციის საკითხისათვის სოფლის მეურნეობაში: (რეტროსპექტივის რაგურსით) // სოციალური ეკონომიკა. - 2002. - №5. - გვ. 107-114.

პროცესები განხილულია საქართველოს მაგალითზე.

390. კოდუაშვილი პ. სასურსათო პრობლემა საქართველოში // სოციალური ეკონომიკა. - 2002. - №3. - გვ. 142-148.

აგრარული პოლიტიკის რეალური პროგრამის შემუშავების აუცილებლობა სასურსათო უსაფრთხოების მისაღწევად.

391. ქუნი ე. თავისუფალი საქართველო: წარსული – აწმყო – მომავალი // კვალი. - 2002. - №4-5. - გვ. 52-54. რეზ. რუს. და ინგლ. ენებზე.

1920 წელს ჟენევაში გამოქვეყნებული სტატია ასახავს საქართველოს სოფლის მეურნეობის, ნიადაგის, ფაუნისა და სატყეო მეურნეობის მდგომარეობას / ახლავს კ. ბურკაძის დასკვნა.

392. მგელაძე კ. საქართველოს ირიგაციისა და დრენაჟის მომხმარებელი ორგანიზაციების განვითარების პროექტი // კვალი. - 2002. - №4-5. - გვ. 20-22; 2003. - №2-3. - გვ. 34-35.

საირიგაციო სისტემების მთლიანი რეაბილიტაციის პროექტის მიმღინარეობის შესახებ.

393. ნასყიდაშვილი მ. საქართველოს ხორბლის ენდემური სახეობების გენეტიკური მრავალფეროვნება / მ. ნასყიდაშვილი, პ. ნასყიდაშვილი, ი. ნასყიდაშვილი // მეცნიერება და ტექნიკოლოგიები. - 2003. - №10-12. - გვ. 144-146. რეზ. ინგლ. და რუს. ენებზე.

საქართველოში გავრცელებული ხორბლის ენდემური სახეობების შედგენილობა, მათი გენეტიკური და სელექციური ლირებულება და სელექციური ნიშნები.

394. სონდულაშვილი ბ. სოფლის მეურნეობა კახეთის ეკონომიკის წამყვანი დარგია // კვალი. - 2003. - №2-3. - გვ. 25-26. რეზ. ინგლ. და რუს. ენებზე.

2002 წლის შედეგები.

395. სურმანიძე დ. აჭარის მეჩაიერებისა და ჩაის მრეწველობაში არსებული მდგომარეობის შესახებ // კვალი. - 2003. - №4-5. - გვ. 12-13.

396. ლორჯომელაძე ო. აჭარის აგროსამრეწველო კომპლექსი და მისი თანამედროვე მდგომარეობის ზოგიერთი თავისებურება // კვალი. - 2003. - №2-3. - გვ. 28-29. რეზ. ინგლ. და რუს. ენებზე.

397. დორჯომელაძე ო. სოიო დიდი სიკეთის მომცემი ქულტურაა // ქვალი. - 2002. - №4-5. - გვ. 40-41. რეზ. რუს. და ინგლ. ენებზე. სოიოს ჯიშები საქართველოში, მოვლა-მოყვანის საკითხები.
398. ჩხაიძე ი. აჭარის ა/რ სოფლის მეურნეობის რესურსები პოტენციალი: (სტრუქტურული ანალიზი) // სოციალური ეკონომიკა. - 2002. - №6. - გვ. 171-174.
- ხელვაჩაურისა და ქობულეთის რაიონების სარესურსო პოტენციალის სტატისტიკური მონაცემები.
399. ჩხაიძე ლ. ახალი ტიპის პიბრიდული რბილი ხორბალი 6A გენერაცია // მეცნიერება და ტექნოლოგიები. - 2003. - №1-3. - გვ. 146-150. რეზ. ინგლ. და რუს. ენებზე.
- ქართული ხორბლის „ზანდურის“ პოპულაციის ორი კომპონენტის შეჯვარებით მიღებული ახალი ტიპის რბილი ხორბლის შესახებ.
400. ცივაძე გ. აგროქიმიური სამსახურის მდგომარეობა აჭარაში // ქვალი. - 2003. - №4-5. - გვ. 8-9.
- ინტერვიუ შპს „აჭარსოფლქიმიის“ გენერალურ დირექტორ გურამ ცივაძესთან / ჩაიწერა ც. წუწუნავაძე.
401. ჯაყელი გ. აჭარის მეცნიელეობა // ქვალი. - 2003. - №4-5. - გვ. 14-15.
- არსებული მდგომარეობა და განვითარების შემდგომი ეტაპები.
402. ჯიბლაშვილი უ. ხორბლის უნიკალური ჯიში – „ალაზნის ველი“ // ქვალი. - 2002. - №4-5. - გვ. 46-48. რეზ. რუს. და ინგლ. ენებზე.
- უხმოსავლიანი, გვალვაგამბლე ჯიშის ხორბლის მასიური დანერგვის აუცილებლობა პურის პრობლემის გადასაწყვეტად საქართველოში.
403. ჯიქია მ. რეგიონის სოფლის მეურნეობის განვითარების გეოგრაფიული ასპექტები: (ზუგდიდის რაიონის მაგალითზე) // სოციალური ეკონომიკა. - 2002. - №1. - გვ. 125-130.
- ზუგდიდის რაიონის ნიადაგურ-კლიმატური თავისებურებები და რაიონის სოფლის მეურნეობაში გატარებული ეკონომიკური რეფორმები.

## **მეტყევეობა**

404. ვასაძე რ. წილგოვნებისა და წიფლის მოზარდის ზრდის პროცესი ზემო აჭარაში / რ. ვასაძე, ა. შანიძე // მეცნიერება და ტექნოლოგიები. - 2003. - №4-6. - გვ. 150-151. რეზ. ინგლ. და რუს. ენებზე.

405. თავაძე ბ. წაბლის ქერქის კიბო საქართველოში // მეცნიერება და ტექნოლოგიები. - 2003. - №4-6. - გვ. 142-144. რეზ. ინგლ. და რუს. ენებზე.

წაბლნარების სატყეო-პათოლოგიური მდგომარეობის შესწავლის ცდა.

406. ტაბიძე ლ. ცხენისწაბლას, გლედიჩის, იაპონური სოფორისა და აილანთუსის კულტურების ზრდის ინტენსივობა // მეცნიერება და ტექნოლოგიები. - 2003. - №4-6. - გვ. 138-141. რეზ. ინგლ. და რუს. ენებზე.

უცხო ქვეყნებიდან შემოტანილი ტყის კულტურების გახარებისა და შენარჩუნების მაჩვენებლები აღმოსავლეთ საქართველოს რეგიონებში.

407. ტუღუში მ. სოსნოვსკის ფიჭვის ტყის ტიპები მდინარე ტანას [ატენის] სეობაში // მეცნიერება და ტექნოლოგიები. - 2003. - №4-6. - გვ. 145-149. რეზ. ინგლ. და რუს. ენებზე.

408. წაბლის (Castanea Sativa Mill) ნაყოფის დაავადებები საქართველოში // მეცნიერება და ტექნოლოგიები. - 2003. - №7-9. - გვ. 151-153. რეზ. ინგლ. და რუს. ენებზე.

## **მევენახეობა-მეღვინეობა**

409. ქოქრაშვილი ზ. ქართული ფენომენი – ღვინო და ღვინის დგომება ბადაგონი. - თბ., 2004. - 143 გვ. ტექსტი ქართ., ინგლ. და რუს. ენებზე.

ნარკვევი მევენახეობა-მეღვინეობის ჩასახვა-განვითარების, გავრცელებისა და ღვინო „ბადაგონის“ შესახებ.

410. ოქლაგის ღვინის მარანი // კვალი. - 2002. - №1-2. - გვ. 6-7. ღვინის ქარხნის ისტორია და თანამედროვე ტექნოლოგიები.

411. დაზარიაშვილი თ. საქართველოში მევნეახეობა-მედვინეობის განვითარების პროგნოზული პარამეტრები // სოციალური ეკონომიკა. - 2002. - №5. - გვ. 115-118.
412. მამაიაშვილი ვ. ქართული დვინის ხვალინდელი დღე // კვალი. - 2003. - №2-3. - გვ. 7-20. რეზ. ინგლ. და რუს. ენებზე.  
ინტერვიუ „სამტრესტის“ თავმჯდომარე ვაჟა მამაიაშვილთან 2002 წლის 17 დეკემბერს ქ. თელავში ჩატარებული დვინისა და ბრენდის დებუსტაცია-კონკურსის შედეგებზე / ჩაიწერა მ. ვახტანგაძეებ.
413. მამაიაშვილი ვ. დვინო და ადამიანის ჯანმრთელობა // კვალი. - 2002. - №4-5. - გვ. 55-57. რეზ. რუს. და ინგლ. ენებზე.  
ქართული დვინის კეთილისმყოფელი გავლენა ადამიანის ორგანიზმები.
414. მამაიაშვილი ვ. ყველაფერი სუფთა, მშვენიერი და ამაღლებული ვაზშია გაცხადებული // კვალი. - 2002. - №1-2. - გვ. 9-11. რეზ. რუს. და ინგლ. ენებზე.  
საქართველოში დვინის დამზადების ტრადიციები და პრობლემები თანამედროვე მედვინეობაში.
415. მამაიაშვილი ვ. ჩვენი წინაპრები ვაზს მზიან ფერდობზე აშენებდნენ // კვალი. - 2002. - №1-2. - გვ. 7-8. რეზ. რუს. და ინგლ. ენებზე.  
აბორიგენული ვაზის ჯიშების მოკლე ისტორია და თელავის დვინის მარნის თანამედროვე მდგრმარეობა.
416. სარჯველაძე ე. მსოფლიო ბაზარზე ქართული დვინის კონკურენტუნარიანობის ამაღლებისათვის / ე. სარჯველაძე, გ. მიქელაძე // სოციალური ეკონომიკა. - 2002. - №6. - გვ. 114-117.  
რენტაბელობის გაზრდის მიზნით მაღალხარისხოვანი დვინების წარმოებასთან ერთად უნარჩენო ტექნოლოგიის განვითარების აუცილებლობა.
417. ქარქაშაძე ნ. მევნეახეობა-მედვინეობა სოფლის მეურნეობის განვითარების პრესტიჟული მიმართულებაა // კვალი. - 2003. - №2-3. - გვ. 11-12. რეზ. ინგლ. და რუს. ენებზე.
418. ჩხარტიშვილი ნ. მევნეახეობა-მედვინეობის პრობლემები, დაგის განვითარების კონცეფტუალური და პრიორიტეტული მიმა-

როულებები // კვალი. - 2003. - №2-3. - გვ. 13-14. რეზ. ინგლ. და რუს. ენებზე.

419. ცინცაძე თ. მევენახეობა იმერეთში // კვალი. - 2003. - №2-3. - გვ. 27.

არსებული მდგომარეობა და აღმავლობისათვის გასატარებელი საჭირო დონისძიებები.

### **ბეჭდვის ისტორია. შრიფტი**

420. იმერლიშვილი ვ. ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორიიდან // მნათობი. - 2003. - №9-10. - გვ. 111-120.

ეპროპაში ქართული წიგნის ბეჭდვის დაწყების ისტორიული მიზეზები, სტამბის დაარსება რომში 1627 წელს და პირველი ქართულენოვანი წიგნები.

### **ხელოვნება**

421. ლორთქიფანიძე ნ. არგონავტების ასახვა ადრებერძნულ კულტურაში. - თბ., 2004. - 165 გვ.

არგონავტების მითის ასახვა კერამიკულ ფერწერაში, ქვის, სპილოს ქვლის რელიეფურ ქანდაკებასა და ლითონზე გამოსახულ მხატვრულ რელიეფში; კოლხეთსა და ელინურ სამყაროს შორის არსებული კონტაქტები.

422. ლოსევი ალ. აღმოსავლური რენესანსი: ჩინეთი. ირანი. სომხეთი. საქართველო. - ბათუმი. - 2005. - 67 გვ.

ქართული ნეოპლატონიზმის არსი და თავისებურება.

423. ექვთიმე თაყაიშვილის პარიზული წერილები / მ. მირიანაშვილისა და ო. ჩიქოვანის პუბლიკაცია // მნათობი. - 2003. - №9-10. - გვ. 153-159.

ე. თაყაიშვილის ორი წერილი საქართველოს მთავრობის უცხოეთთან ურთიერთობის სახელმწიფო კომისარიატის წარმომადგენელ გერმანე მგალობლიშვილისა და მეცნიერების მთავარი სამმართველოს უფროს უკალ ბერიძისადმი. წერილები ეხება 1921 წელს მენშევიკური მთავრობის მიერ საქართველოდან საფრანგეთში გატანილი ეროვნული განძის სამშობლოში დაბრუნების საკითხს.

424. მაღრაძე გ. ქართული ხელოვნების ისტორიის გაფალბების ტენდენციის გამო // საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის ნარკვევები. - 2004. - ტ. 9. - გვ. 182-191. რეზ. ინგლ. ენაზე.

პასუხი ნატალია ბერუბაშვილის სტატიაზე – “Об истории перегородчатых эмалей из коллекции М. П. Боткина в Государственном музее искусств Грузии”, რომელიც 2001 წ. დაიბეჭდა სანკტ-პეტერბურგის სახელმწიფო ერმიტაჟის მიერ გამოცემულ კრებულში – “Ювелирное искусство и материальная культура”, ქართული ტისრული მინანქრის ნიმუშების – „წმიდა გიორგი გველეშაპის მღანევრავი“ და „წმიდა გიორგი ათავისუფლებს მეფის ასულს“ – ნაფალბებად მიჩნევის თაობაზე.

425. მელიქიშვილი ი. ქართული საეკლესიო ნაქარგობის ტექნიკა // საქართველოს ხელოვნების მუზეუმის ნარკვევები. - 2004. - ტ. 9. - გვ. 113-136. რეზ. რუს. ენაზე.

ხელოვნების მუზეუმის ნაქარგობისა და ქსოვილების განყოფილების ფონდებში დაცული ნაქარგების კვლევა: ექსპონატთა მასალისა და საქარგავი ხელსაწყოების მიხედვით ქარგვის პროცესის წარმოჩნდა; კონკრეტული მასალის გამოყენების მიზნის გარკვევა; ტექნიკური ხერხების ანალიზი.

426. როსტიაშვილი ნ. თექა მზია ხალვაშის შემოქმედებაში // საქართველოს ხელოვნების მუზეუმის ნარკვევები. - 2004. - ტ. 9. - გვ. 169-172. რეზ. ინგლ. ენაზე.

თანამედროვე ქართული ოვექის ოსტატ მ. ხალვაშის ბიოგრაფია, შემოქმედების თავისებურებები, ინდივიდუალური ხელწერა და მკვთრი ემოციურობა („ჩემი ფიჭვები“, „ქართული ორნამენტი“, „ქამა სოკოები“ და სხვ.).

427. სეულხანიშვილი ე. საფლავის ქვის გადასაფარებლები // საქართველოს ხელოვნების მუზეუმის ნარკვევები. - 2004. - ტ. 9. - გვ. 104-112. რეზ. რუს. ენაზე.

საფლავის ქვის გადასაფარებლების სიმბოლური დატვირთვა. ხელოვნების მუზეუმის კოლექციაში დაცული გადასაფარებლების (მოქარგული საერო და სასულიერო პირთაოვის) აღწერა.

428. ქარუმიძე ნ. XIX ს.-ის ერთი მინიატურული პორტრეტის ატრიბუტი // საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის ნარკვევები. - 2004. - ტ. 9. - გვ. 154-159. რეზ. რუს. ენაზე.

უცნობი მინიატურისტის მიერ სპილოს ძვალზე შესრულებული იოანე ბატონიშვილის მინიატურის შესახებ.

429. ჩიხლაძე ნ. საქართველოს მუზეუმებში დაცული ნუზალის ეკლესიის კედლის მხატვრობის ასლები და მათი როლი მოხატულობის შესწავლის საქმეში // საქართველოს ხელოვნების სახლმწიფო მუზეუმის ნარკვევები. - 2004. - ტ. 9. - გვ. 91-103. რეზ. რუს. ენაზე.

პალეოლიტოსთა მხატვრული სტილი ჩრდილოეთ ოსეთის ტერიტორიაზე მდებარე ნუზალის გაბრიელ მთავარანგელოზის ქართული ეკლესიის კედლის მხატვრობაში (XIII-XIV სს-თა მიჯნა). მ. შეიძლერის მიერ შესრულებული ნუზალის ეკლესიის კედლის მხატვრობის ასლები და გ. ერისთავის მიერ შესრულებული ნუზალის ქმიტლის შემცირებული ასლი-ჩანახატი.

### **საერო და საეკლესიო ხუროთმოძღვრება**

430. ლეკვეიშვილი ს. დაკარგული მადლის დაბრუნება. - თბ., 2004. - 152 გვ.

სამტრედიის რაიონის სოფელ იანეთის წმიდა გიორგის სახელობის ტაძრის მშენებლობის გახსნა-კურთხევის ისტორია. მოხსენიებულია ტაძრის ამშენებელი, ამავე სოფლის მკვიდრი აკაკი ლეკვეიშვილი.

431. საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა. წიგნ. 2. - თბ., 2004. - 528 გვ.

ენციკლოპედიური სასიათის მრავალტომიანი გამოცემის მე-2 ტომი მოიცავს ახმეტის, დუშეთის, თიანეთისა და ყაზბეგის რაიონების ისტორიულ და კულტურულ ძეგლებს. ყოველ რაიონს, ქალაქს თუ სოფელს ახლავს მოკლე საცნობარო სტატია.

432. სიონის ტაძრისათვის: მცირედი ცნობანი / [წიგნი მოიძია და შეუცვლელი ფორმით გამოსცა მამა დავით (გოცირიძემ). იბეჭდება ბოლნისის მთავარებისკოპოსის თადეოზის ლოცვა-კურთხევით]. - თბ., 2005. - 10გვ.

ცნობები თბილისის სიონის ტაძრის სახელწოდების, მშენებლობის, მხატვრობის, მნიშვნელოვანი ნივთებისა და სამრეკლოს შესახებ.

433. შიდა ქართლი: ჯავის რაიონის არქიტექტურული მემკვიდრეობა: 1985-1986 წლების ექსპედიციის მასალები / [რედ.-გამომც. ც. დადიანიძე]. - თბ., 2004. - 168 გვ. ტექსტი ქართ. და რუს. ენებზე.

ჯავის რაიონის არქიტექტურის ძეგლების დოკუმენტური სახით წარმოქმნა. ნაშრომში ჩართულია ძეგლების ფოტოსურათები და გეგმები.

434. მიმინოშვილი ო. დაუმთავრებელი ჩუქურთმა // ქართული ენის სახლი. - 2004. - №2-3 (10-11). - გვ. 23-29. რეზ. ინგლ. და რუს. ენებზე.

ნაშრომში საუბარია X ს.-ის ქართული ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი თვალსაჩინო ძეგლის – ოშეის ტაძრის სამხრეთის კარიბჭეზე ამოკვეთილი დაუმთავრებელი ქართული ჩუქურთმის შესახებ.

435. შატბერდის მონასტრის იდენტიფიკაციის პროცედურის / თ. ხუციშვილი, კ. შენგაველია, შ. მაჭავარიანი, ვ. სილოგავა // საისტორიო შტუდიები. - 2004. - ტ. 5. - გვ. 44-57. რეზ. ინგლ. ენაზე.

ქართველ მეცნიერთა მოსაზრებები შატბერდის მონასტრის ადგილმდებარეობასთან დაკავშირებით; ავტორთა ჯგუფის მიერ არტანუჯის დასავლეთით სოფ. აგარასა და სოფ. ბოსელთის შორის ხეობაში აღმოჩენილი სამონასტრო ნაგებობის შატბერდის მონასტრად მიჩნევა.

436. ხარატიშვილი ნ. მუზეუმის მოამაგენი // საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ნარკვევები. - 2004. - ტ. 9. - გვ. 206-207.

ხელნაწერთა მემუარული განყოფილების ფონდში დაცული, 1934 წ. ექვთიმე თავაიშვილის მიერ იღია ზდანევიჩისადმი გაგზავნილი გამოუქვეყნებელი წერილი, რომელიც 1917 წელს ტაო-თორთუმისპირის ხეობაში მოწყობილ ექსპედიციაში მოიქმედა მასალის პუბლიკაციასთან დაკავშირებულ საკითხებს ეხება.

437. Бельмега С. Дмитро Гордееев (Гордіпів) – історик мистецтва // Хроніка 2000. - 2002. - Вип.47-48. - с.380-403.

უკრაინელი ხელოვნებათმცოდნე დიმიტრი გორდევევის ექსპედიცია ახალციხის ისტორიული ძეგლების შესწავლის მიზნით.

## სახეითი ხელოვნება

438. აბესაძე ი. შალვა ქიქოძე: კულტურული მემკვიდრეობა / ი. აბესაძე, ქ. ბაგრატიშვილი. - თბ., 2005. - 185 გვ.
- მე-20 ს.-ის 10-იან წლებში მოღვაწე მხატვრის კულტურული მემკვიდრეობა – სადღიურო ჩანაწერები, წერილები, შეხედულებები ხელოვნებაზე, ოფიციალური დოკუმენტები, რეცენზიები ქართულ თეატრზე, ფერწერული და გრაფიკული ნამუშევრები.
439. გელეგანიშვილი ნ. აღორძინებული სახელები. - თბ., 2005. - 89 გვ.
- თეატრის მხატვარ ირინა შტენბერგის ცხოვრება და შემოქმედებითი საქმიანობა.
440. კობიაშვილი ნ. ჩვენ ვეძებთ ფიროსმანს. - თბ., 2004. – 196 გვ. ტექსტი ქართ. და რუს. ენებზე.
- ფიროსმანის თემაზე მუშაობის (სატელევიზიო გადაცემები) 8 წლის მანძილზე დაგროვილი მასალა. ნაშრომში ჩართულია გადაცემების მომზადების პერიოდში გადაღებული ფოტომასალა.
441. ამაღლობელი მ. ერთი ქუთაისელი მხატვრის გახსენება // ქართული ენის სახლი. - 2004 . - №4 (12) . – გვ. 61-66. რეზ. ინგლ. და რუს. ენებზე.
- თვითნასწავლი მხატვრის ავთო ავალიანის ცხოვრება და შემოქმედება.
442. გიორგი მაქაცარია: ნეკროლოგი // საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი. - 2004. - ტ. 9. - გვ. 239-240.
- მხატვარ გ. მაქაცარიას ბიოგრაფია და შემოქმედება.
443. კიგნაძე გ. ედმონდ კალანდაძის მხატვრობის ისტორიულ-კულტურული წინამდღვრები // თეატრმცოდნეობითი და კინომცოდნეობითი ძიებანი. - 2005. - №4. - გვ. 237-254. რეზ. ინგლ. ენაზე.
444. კოშორიძე ი. სილამაზის ესთეტიკური კანონი გვიანირანულ ფერწერაში: (საქართველოს ხელოვნების მუზეუმის ორი ფერწერული კომპოზიციის ატრიბუცია) // საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის ნარკვევები. - 2004. - ტ. 9. - გვ. 137-153. რეზ. ინგლ. ენაზე.

სილამაზის ირანული იდეალის განხილვა და მისი შედარება ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში დაცულ ორ ადრეკაჯარული ეპოქის (1797-1834 წწ.) კომპოზიციასთან: „შაოსანი ჭაბუკი“, „ბავშვიანი ქალი“ (მაღხაზ ანდონიკაშვილისა და მისი მეუძღვის მაია ბატონიშვილის პორტრეტები).

445. ოჩიაური გ. ევროპული ქანდაკების ბუნებისათვის. - თბ., 2002. - 124 გვ. ტექსტი ქართ. და რუს. ენებზე.

რეც.: მუზაშვილი ნ. დასასრული თუ დასაწყისი? // ლიტერატურა და სხვა. - 2005. - იანვარი. - გვ. 95-104.

446. სანიკიძე თ. შეხვედრა მონარნასზე: (ფელიქს ვარლამიშვილი – დაბადების 100 წლისთავი) // საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის ნარკვევები. - 2004. - ტ. 9. - გვ. 160-168. რეზ. ინგლ. ენაზე.

პარიზელი მხატვრის ფ. ვარლამიშვილის გახსენება. მისი უკანასკნელი სურვილის მიხედვით, 1987 წ. ქართული ხელოვნების მუზეუმისათვის გადაცემული ფერწერული და გრაფიკული ნამუშევრები.

447. სახვაძე ქ. სიმონ ვირსალაძე და სპექტაკლი „ქვის ყვავილი“ // ოერტმცოდნებითი და კინომცოდნებითი ძიებანი. - 2005. - №6 (25). - გვ. 45-52. რეზ. ინგლ. ენაზე.

სერგეი პროკოფიევის ბალეტის ს. ვირსალაძისეული მხატვრული გადაწყვეტა, დეკორაციები და კოსტიუმები.

448. შენგელია ქ. დამის მხატვარი // მნათობი. - 2003. - №5-6. - გვ. 173-176.

ომარ დურმიშიძის ფერწერა.

449. ჩიხლაძე ნ. ირანულ-ქართული კულტურული ურთიერთობები და XVII ს. ქართული სახვითი ხელოვნების ერთი ასპექტი // მნათობი. - 2003. - №5-6. - გვ. 177-184.

სტატია ეხება XVII ს.-ის მეორე ნახევრითა და XVIII ს.-ის დასაწყისით დათარიღებულ, ისპაპანის მხატვრული სკოლის ნიმუშებად აღიარებულ, წარჩინებულ პირთა ზეთით შესრულებული პორტრეტების ერთ ჯგუფს, რომელთაც ზოგიერთი მკვლევარი ქართულ მხატვრობად მიიჩნევს.

450. Буачідзе Г. На вернісажі : (Стаття у “Nouvelles Europe” про виставку 1986 року в Тблілії київського художника Олександра Павлова) // Хроніка 2000. - 2002. - Вип. 47-48. - с. 714-717.

„**უკრაინელ მხატვარ აღ. პავლოვის ნამუშევრების გამოფენა** თბილისში 1986 წელს.

451. Гордіпв Дм. Ніко Пиросманашвілі : (З нагоди виставки його картин у Харкові) // Хроніка 2000. - 2002. - Вип. 47-48. - с. 404-408.

ნიკო ფიროსმანაშვილის ნახატების გამოფენა ხარკოვში 1928 წელს.

452. Гудіашвілі Л. На порозі : Тапна краси. З “Книги спогадів” // Хроніка 2000. - 2002. - Вип. 47-48. - с. 413-462.

ლადო გუდიაშვილის „მოგონებების წიგნიდან“.

453. Диченко І. Опоетизована Грузія // Хроніка 2000. - 2002. - Вип. 47-48. - с. 463-466.

პოეტთა ქვეყანა, საქართველო. ლადო გუდიაშვილის შემოქმედება.

454. Павлов О. Сергій Параджанов : Фрагменти портрета // Хроніка 2000. - 2002. - Вип.47-48. - с. 696-713.

სერგო ფარაჯანოვის პორტრეტის ფრაგმენტი. მიხდამი მიძღვნილი საიუბილეო გამოფენები თბილისში.

455. Чхепдзе О. Піросмані очима Пікассо // Хроніка 2000. - 2002. - Вип. 47-48. - с.409-412.

პაბლო პიკასოს თვალით დანახული ფიროსმანი.

### **ფოტოხელოვნება**

456. ფოტოკონკურسი ქოლგა: 100 საუკეთესო ფოტო. - თბ., 2004. - 126 გვ.

ალბომში შესულია ფოტოკონკურსში მონაწილეთა 100 საუკეთესო ნამუშევარი. წიგნს წამდლვარებული აქვს დათო ტურაშვილის წერილი – „ჩემი გურამ თიკანაძე“ და ფოტოხელოვანის მიერ გადაღებული საუკეთესო სურათები.

## **კინოხელოვნება**

457. იპოლიტე ხეიჩია / ბროშურას საფუძვლად დაედო ნ. ხეიჩიას წიგნი „მონოგრაფია მამაზე“. - თბ., 2004. - 31 გვ.

მსახიობის შემოქმედებითი გზა.

458. მერაბ კოკოჩაშვილი: რეცენზიები. წერილები. ინტერვიუ. სცენარი: (კრებული) / შესავ. წერილის ავტორი, შემდგ.-რედ. მ. კერესელიძე. - თბ., 2005. - 319 გვ.

კრებულში წარმოდგენილია ქართულ და უცხოურ პრესასა და ცალკეულ გამოცემებში გამოქვეყნებული წერილები მ. კოკოჩაშვილზე. აქვე კომენტარები და სრული ფილმოგრაფია ქართულ და ინგლისურ ენებზე. კრებულში ჩართულია კადრები რეჟისორის ფილმებიდან, ესკიზები და ფოტომასალა.

459. ქარქაშაძე გ. აკაკი ხორავას კინომოღვაწეობა. - თბ., 2004. - 168 გვ.  
ა. ხორავას მიერ კინოში განსახიერებული როლების მიმოხილვა.

460. ჯალაძანია რ. რეზო ჩხეიძე – ქართული კინოს პატრიარქი. - თბ., 2004. - 223 გვ.

კინორეჟისორის ცხოვრება, შემოქმედება და საზოგადოებრივი საქმიანობა. წიგნში ჩართულია ფოტოები რ. ჩხეიძის ფილმებიდან და საოჯახო ალბომიდან.

461. დეკანოსიძე ნ. ბუნებრიობა და ალეგორია – შტრიხები გმირის პორტრეტისათვის // თეატრმცოდნეობითი და კინომცოდნეობითი ძიებანი. - 2005. - №4 (23). - გვ. 111-122. რეზ. ინგლ. ენაზე.

ავტორი მიმოიხილავს 50-70-იანი წლების ქართულ ფილმებს, როცა ფილმის გმირი ეროვნული ხასიათის მატარებელი გახდა და ეკრანზე გამოჩნდა ე.წ. პრობლემატური გმირი, რომლის ცხოვრებაც სავსეა სულიერი ორთაბრძოლით: „მაგდანას ლურჯა“, „სხვისი შეიღები“, „დიდი მწვანე ველი“, „გიორგობისთვე“ და სხვ.

462. დეკანოსიძე ნ. გმირი და გარემო – როლი ეპოქის პერსონაჟები // თეატრმცოდნეობითი ძიებანი. - 2005. - №5 (24). - გვ. 79-89. რეზ. ინგლ. ენაზე.

საკუთარი „მეს“ ძიების დროსა და გარემოში ადაპტაციის უნარის არმქონე გმირების ცხოვრების ასახვა ფილმებში – ა. რეზებიაშვილის „საფეხური“, ტ. კოტეტიშვილის „ანემია“, დ. ცინცაძის „ზღვარზე“.

463. დეკანოსიძე ნ. 20-იანი წლები – მხატვრული სახის ტრანსფორმაცია: (კრებითი გმირი და ლიდერები) // თეატრმცოდნეობითი და კინომცოდნეობითი ძიებანი. - 2005. - №6 (25). - გვ. 99-106. რეზ. ინგლ. ენაზე.

ლიდერის, მებრძოლის ფენომენი ქართული კინოს ისტორიულ საწყისებში; დროისა და ვითარების შესაბამისად გმირის სტერეოტიპის ტრანსფორმაცია შემდგომი პერიოდის ქართულ კინემატოგრაფიაში.

464. კუჭუხიძე ი. არქიტექტურული ვარიაციები ქართულ კინოში / ი. კუჭუხიძე, რ. მირცხულავა // თეატრმცოდნეობითი და კინომცოდნეობითი ძიებანი. - 2005. - №4 (23). - გვ. 158-178. რეზ. ინგლ. ენაზე.

ზღაპრული, მითოლოგიური და ფოლკლორული ფორმების გამოყენება ქართულ კინოში. გამოყოფილია სამი არქეტიპი – „წმინდა ქალწულისა“ და „დიდი მამის“ ურთიერთობამაზონასწორებელი სახეები და მარადიული თემა „დრაკონთან გმირის შემობრძოლებისა“: „ვედრება“, „ნატვრის ხე“, „პასტორალი“, „ჯარისკაცის მამა“, „ნერგები“ და სხვ.

465. ლექტორაშვილი მ. ქართულ კინემატოგრაფიაში ტრაგიკომედიის საქითხისათვის // თეატრმცოდნეობითი და კინომცოდნეობითი ძიებანი. - 2005. - №5 (24). - გვ. 104 -118. რეზ. ინგლ. ენაზე.

დრამისა და კომედიის კლემენტების შერწყმა 60-70-იანი წლების ფილმებში: „ჯარისკაცის მამა“, „არაჩვეულებრივი გამოფენა“, „ნატვრის ხე“, „სამანიშვილის დედინაცვალი“, „გიორგობისთვე“.

466. მხეიძე ნ. ალავერდობიდან – ანემიამდე // თეატრმცოდნეობითი და კინომცოდნეობითი ძიებანი. - 2005. - №4 (23). - გვ. 179-187. რეზ. ინგლ. ენაზე.

განხილულია ფილმები, რომლებიც გარკვეულწილად მიღებული ხორმების საპირისპირო რეალობას ჰქმიდნენ ეკრანზე: გიორგი შენგალიას „ალავერდობა“ და „ახალგაზრდა კომპოზიტორის მოგზაურობა“, ოთარ იოსელიანის „გიორგობისთვე“ და „იყო შაშვი მგალებელი“, ტატრ კოტეტიშვილის „ანემია“, ელდარ შენგალიას „არაჩვეულებრივი გამოფენა“ და „ცისფერი მთები“.

467. ოჩიაური ლ. ალექსანდრე რეხვიაშვილის იგავები – „XIX საუკუნის ქართული ქრონიკა“, „გზა შინისაკენ“ // თეატრმცოდ-

ნეობითი და კინომცოდნეობითი ძიებანი. - 2005. - №4 (23). - გვ. 188-203. რეზ. ინგლ. ენაზე.

ალ. რეხვიაშვილის პოეტურ-მეტაფორული ფილმების გარჩევა.

468. ქდენტი ო. ეროვნულ-სოციალური საკითხი ქართულ კინოში: (კოტე მარჯანიშვილის ფილმ „სამანიშვილის დედინაცვლის“ მიხედვით) // თეატრმცოდნეობითი და კინომცოდნეობითი ძიებანი. - 2005. - №6 (25). - გვ. 141-151. რეზ. ინგლ. ენაზე.

1926 წლის ეკრანიზაცია.

469. ქდენტი ო. ნაციონალური ტენდენციების ასახვა ალექსანდრე წუწუნავას შემოქმედებაში // თეატრმცოდნეობითი და კინომცოდნეობითი ძიებანი. - 2005. - №5 (24). - გვ. 133-150. რეზ. ინგლ. ენაზე.

რეჟისორის მიერ 1925 წელს გადაღებული ფილმი – „უაილდ გესტის მხედრები“ ნინო ნაკაშიძის პიესა – „ვინ არის დამნაშავის“ მიხედვით.

470. ტრაპაიძე ქ. თემატურ-დრამატურგიული ნიშანოვისებები ქართულ კინემატოგრაფიაში: (70-იანი წლები) // თეატრმცოდნეობითი და კინომცოდნეობითი ძიებანი. - 2005. - №6 (25). - გვ. 152-159. რეზ. ინგლ. ენაზე.

ქ-20 ს.-ის 70-იანი წლების ალექორიის, იგავის, არაკის ფორმით ხორცშესხმული ფილმები, სადაც პირველ პლანზეა ცოცხალი, რეალური ადამიანი და არა სქემატური, ყალბი ე.წ. „დაღებითი გმირი“, ხშირია ყოფითი რეალიზმისა და ალექორიის სინთეზი, წამოწეულია მარადიული ფასტულობები, ეთიკურ-ზნეობრივი პრობლემები.

471. ტრაპაიძე ქ. 70-იანი წლების ქართული კინო და თემატური ტენდენციები ალექსანდრე რეხვიაშვილის შემოქმედებაში // თეატრმცოდნეობითი და კინომცოდნეობითი ძიებანი. - 2005. - №4 (23). - გვ. 204-214. რეზ. ინგლ. ენაზე.

პროზაული სინამდვილისა და პოეტური ალექორიზმის გაერთიანება – ალ. რეხვიაშვილის ფილმების უჩვეულო სამყაროს არსები: მარტობისა და მოლოდინის მოტივი, ადამიანის საზოგადოებისგან გამიჯვნის დრამა, სამართლიანობისა და სიმართლის სხვადასხვაობა.

472. ტრაპაიძე ქ. სოხო ჩხაიძის „თუში მეცხვარე“ // თეატრმცოდნეობითი და კინომცოდნეობითი ძიებანი. - 2005. - №5 (24). - გვ. 151-156. რეზ. ინგლ. ენაზე.  
მრავალსერიანი სატელევიზიო მხატვრული ფილმის გარჩევა.
473. ღვალაძე გ. „ამოკი“ // თეატრმცოდნეობითი და კინომცოდნეობითი ძიებანი . – 2005. - №4 (23). - გვ. 215-225. რეზ. ინგლ. ენაზე.  
ავსტრიელი მწერლის შტეფან ცვაიგის ნოველის მიხედვით კოტე მარჯანიშვილის მიერ 1927 წელს გადაღებული ფილმის ისტორია. მთავარ როლში ნატო ვაჩნაძე.
474. ღვალაძე გ. ნატო ვაჩნაძე „მამის მკვლელში“ // თეატრმცოდნეობითი და კინომცოდნეობითი ძიებანი. - 2005. - №6 (25). - გვ. 160-166. რეზ. ინგლ. ენაზე.  
ამო ბექნაზარვის მიერ 1924 წ. გადაღებული ფილმი – ნატო ვაჩნაძის დებიუტი.
475. ჯანელიძე ქ. ქართული ნახატი და უცხოური კომპიუტერული ანიმაციური ფილმების შედარების რამდენიმე ასპექტი // თეატრმცოდნეობითი და კინომცოდნეობითი ძიებანი. - 2005. - №4 (23). - გვ. 226-234. რეზ. ინგლ. ენაზე.  
გულისტბივილი ძველი ქართული მულტფილმების მივიწყების გამო. სტატიის ავტორი თვლის, რომ თანამედროვე კომპიუტერულ ანიმაციურ პროდუქციაში არ იგრძობა რეჟისორის დამოკიდებულება, ემოცია, ინდივიდუალობა, უგულვებელყოფილია სულიერი დირექტულებები.
476. Кавалерідзе І. Інтерв'ю з І. Кавалерідзе (1977 рік) // Хроніка 2000. - 2002. - Вип. 47-48. - с. 467-475.  
ინტერვیუ უკრainაში მოღვაწე კინორეჟისორ ივანე კავალერიძესთან. მიხი შემოქმედება.
477. Капельгородська Н. Син двох народів // Хроніка 2000. - 2002. - Вип. 47-48. - с. 476-483.  
ორი ერის შვილი. უკრainაში მოღვაწე კინორეჟისორისა და სკულპტორის ივаნე კავალერიძის შემოქმედება.
478. Прокопенко В. Весілля : (грузинські фрагменти вітчизнянопі кіноісторії) // Хроніка 2000. - 2002. - Вип. 47-48. - с. 718-725.

იუგოსლავია – უკრაინა – საქართველოს კინემატოგრაფისტთა ერთობლივი ფილმის – „ქორწილი“ – განხილვა.

479. Скуратівський В. І. Кінематографічні світи Тенгіза Абуладзе; II. З грузинських нотаток // Хроніка 2000. - 2002. - Вип. 47-48. - с. 748-755.

1. თენგიზ აბულაძის კინემატოგრაფიული გარემოცვა. 2. „ქართული ჩანაწერებიდან“.

### მუსიკა

480. ტრადიციული მრავალხმიანობის მეორე საერთაშორისო სიმპოზიუმი: მოხსენებები, 23-27 სექტემბერი, 2004. ობილისი, საქართველო / [რედ.: რ. წურწუმია, ი. უორდანია]. - თბ., 2005. – 548 გვ. მოხსენებები ქართ. და ინგლ. ენებზე.

481. ქართული ხალხური სიმღერის ოსტატები: გურია / ქართ. ხალხ. სიმღერის საერთ. ცენტრი; [რედ.: თ. ჭოხონელიძე, ვ. როდონაია]. - თბ., 2004.

[წ.] 1: სამუელ ჩავლეიშვილი, ვარდამ სიმონიშვილი, ხუხუნიშვილები, ვლადიმერ ბერძენიშვილი. - 2004. – 200 გვ.

[წ.] 2: ერქომაიშვილები. - 2004. – 271 გვ.

[წ.] 3: ვასილ მახარაძე, ვარდამ სიმონიშვილის სკოლა, მიხეილ შავიშვილი, გიორგი სალუქვაძე. - 2004. – 168 გვ.

482. წურწუმია რ. მეოცე საუკუნის ქართული მუსიკა: თვითმყოფადობა და ღირებულებითი ორიენტაციები / დამხმარე სახელმძღვანელო უმაღლესი სამუსიკო სკოლის მაგისტრანტები-სათვის. - თბ., 2005. – 343 გვ.

ქართული მუსიკის განვითარების ეტაპები უძველესი დროიდან XX ს.ის ჩათვლით.

483. ახმეტელი მ. მარინე იაშვილი // მნათობი. - 2003. - №11-12. - გვ. 169-172.

მეცნიერებების, რესთაველის პრემიის ლაურეატ მ. იაშვილის შემოქმედებითი პორტრეტი.

484. ლონდარიძე ე. ვაჟა-ფშაველა ქართულ მუსიკაში // მნათობი. - 2003. - №9-10. - გვ. 160-172.

ვაჟა-ფშაველას პოეტური სამყარო ქართველი კომპოზიტორების – ზაქარია ფალიაშვილის, შალვა მშველიძის, ოთარ თაქთაძიშვილის, ალექსი მაჭაგარიანის, შალვა დავითაშვილისა და სხვათა შემოქმედებაში.

485. მაისურაძე ნ. ქართული ხალხური მუსიკისა და მისი მრავალხმიანობის შესახებ // მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის. - 2004. - ტ. 26. - გვ. 71-72.

486. შილაგაძე მ. იოანე ბაგრატიონის მუსიკის მოკლე სახელმძღვანელო // მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის. - 2004. - ტ. 26. - გვ. 122-125.

იოანე ბატონიშვილის (1768-1830) ნაშრომი (დაცულია პ. კეპელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში (H-2241) – მუსიკლური ანბანის პირველი ქართული სახელმძღვანელო.

487. ჭილაძე თ. ძველი რვეულებიდან: პიმნი და კომპოზიტორი // მნათობი. - 2003. - №11-12. - გვ. 134-136.

კომპოზიტორ იოსებ კეჭაყმაძის ღვაწლი მაღალპროფესიული ქართული საგუნდო მუსიკის განვითარებაში.

488. Чернявская Св. К истории одного автографа Д. Д. Шостаковича // ლიტერატურის მატიანე. - 2005. - გვ. 215-219.

По поводу отклика Дмитрия Дмитриевича Шостаковича на книгу музыковеда Гиви Шиоевича Орджоникидзе (1929-1984 гг.) “Д. Шостакович”, изданной к 60-ти летию со дня рождения композитора.

489. Полфьоров Я. Грузинська музика (контурний нарис) // Хроніка 2000. - 2002. - Вип.47-48. - с.297-304.

ქართული ხალხური და საეკლესიო მუსიკა, ზაქარია ფალიაშვილის შემოქმედება.

## თეატრი

490. ავაზაშვილი-მაცხონაშვილი გ. საქართველოს მშეოთვარე ჭირისუფალი დოდო ჭიჭინაძე. - თბ., 2004. - 360 გვ.

დოდო ჭიჭინაძე – მსახიობი და პიროვნება. წიგნში ჩართულია ცოტოსურათები, თეატრსა და კინოში განსახიერებული როლების ჩამონათვალი.

491. ბოლქვაძე ზ. თეატრი მთაში. - ბათუმი, 2004. – 200 გვ.

ხულის თეატრის მიერ განვილილი შემოქმედებითი გზა და თეატრში მოღვაწე დამსახურებული მსახიობები.

492. ჩხილიშვილი ნ. თამაში თამაშის გარეშე. - თბ., 2005. – 276 გვ.

საქართველოს თეატრალური სამყაროს ამსახველი ინტერვიუები თემურ ჩხეიძესთან, ნოდარ მგალობლიშვილთან, ერლომა ახვლედიანთან, ნანა დემეტრაშვილთან და სხვ. რეცენზიები სპექტაკლებზე.

493. არველაძე ნ. თეატრმცოდნეობითი კვლევის ფორმები: (სასცენო მეტაფორა) // თეატრმცოდნეობითი და კინომცოდნეობითი ძიებანი. - 2005. - №4 (23). - გვ. 5-30. რეზ. ინგლ. ენაზე.

გამოკვლევის მიხედვით, ხელოვნების ყოველ დარგს გამოარჩევს მისი სამეტყველო ენისათვის ნიშანდობლივი მეტაფორა, როგორც ნაწარმოების დედააზრის, მისი ჰავტექსტის, ავტორთა გუნდის ხედვისა და ხელწერის გამოხატვის ფორმა და ამასთანავე, აღმქმედზე (მკითხველი, მაყურებელი, მსმენელი) ზემოქმედების ყველაზე ოპტიმალური სახეობა. ნაშრომში გაშიგრულია სხვადასხვა მეტაფორები სპექტაკლებიდან, ლიტერატურიდან, ფილმებიდან, სახითი ხელოვნების ნიმუშებიდან.

494. ბოკუჩავა თ. „სტიქსის“ წინასწარი გაგებისათვის: (ნაწილი ნაშრომიდან „სულის დრამა“ სპექტაკლში „სტიქსი“) // თეატრმცოდნეობითი და კინომცოდნეობითი ძიებანი. - 2005. - № 4 (23). - გვ. 31-59. რეზ. ინგლ. ენაზე.

რესთაველის სახელობის თეატრის სპექტაკლი, რეჟისორი რობერტ სტურუა.

495. გურაბანიძე მ. პოლიგარბე კაკაბაძის „კახაბერის ხმალი“ და მამია მალაზონიას სცენოგრაფიული ინტერპრეტაცია // თეატრმ-

ცოდნეობითი და კინომცოდნეობითი ძიებანი. - 2005. - №6 (25). - გვ. 5-17. რეზ. ინგლ. ენაზე.

მამია მალაზონიას მაღალმხატვრული და ნოვატორული სცენოგრაფია გიგა ლორთქიფანიძის მიერ დადგმულ სპექტაკლში.

496. ვარდიაშვილი ა. რეჟისორი – მაგნიტი // მნათობი. - 2003. - №3-4. - გვ. 148-149.

მსახიობ ანა ვარდიაშვილის მოგონება ალექსანდრე ახმეტელზე. საქართველოს ლიტერატურისა და ხელოვნების ცენტრალურ სახელმწიფო არქივში დაცული მასალის პუბლიკაცია მოამზადა დ. სოლომნიშვილმა.

497. ზარდიაშვილი ე. „ქართული ოქატრის“ კომენტარი // კრიტურიუმი. - 2005. - №13. - გვ. 168-171.

პუბლიკაცია აკაკი წერეთლის სტატიისა „ქართული ოქატრი“. ავტოგრაფი ინახება ხელნაწერთა ინსტიტუტის აკაკის ფონდში ნომრით – 272.

498. კიკნაძე ვ. ქართული ოქატრის რაინდი // მნათობი. - 2003. - №1-2. - გვ. 140-143.

მსახიობ გიორგი გეგეჭკორის ცხოვრებისა და შემოქმედების გზა.

499. კირვალიძე ლ. სპექტაკლი „სამშობლო“ და საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა XIX საუკუნის მეორე ნახევარში // თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტი: პრომეთე. - 2002. - №11-12. - გვ. 109-113. რეზ. რუს. და ინგლ. ენებზე.

